MES 4 23 0001414716

20/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო სსხდომის ოქმი
ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა
ნათია მაზანიშვილი- სკოლის დირექტორი
სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლა
ია მეფარიშვილი-სკოლის დირექტორი
შპს - აითი აკადემია სტეპი
მაკა მახათაძე-სკოლის დირექტორი
ლიკა გიორგაძე-იურისტი
ნინო ბეგიაშვილი- მმართველი საბჭოს წარმომადგენელი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა
მარინა ისკაკოვა-სკოლის დირექტორი
სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა
ტარიელ ბარამიძე- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლა

ა)თამარ მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,თავმჯდომარე
ბ) სალომე ოსეფაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ლალი ნადირაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ზ) თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თ) ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ი) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
კ) ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ-აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლა

ა)ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
გ) თალიკო ჯაყელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
დ) დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ლ) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

სსიპ-ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლა

ა)ლევან ღურწკაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი თავმჯდომარე)
ბ) ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
გ) მარინა ჯალიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
დ) თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ვ) ნანა ჩხიკვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ლ)ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლა

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)
ბ) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
გ) ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
დ) ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ე) თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ვ)ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,);
ზ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
თ) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
ი) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
კ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

შპს აითი აკადემია სტეპი

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)
ბ) ლელა ფიცხელაური - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ჯგუფის)
გ) თეა მათითაიშვილი- (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
დ) მზია მახაჭაშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ე) ზურაბ ურიადმყოფელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)
ვ) ნაია ენდელაძე -(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
ზ) მზია შევარდნაძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)
თ) მაია ჩაჩხიანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ი) ედუარდ ნაკაიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17- მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 06 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით, მალაზონიამ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

1. შპს - აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა
6. სსიპ-ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯომარემ საბჭოს წევრებისა და ცენტრის წინაშე დააყენა შუამდგომლობა შემდეგი საკითხის სსიპ- ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაედოთ 16 ოქტომბრის საბჭოს სხდომისთვის, ვინაიდან ტექნიკური ხარვეზის გამო საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ წვდომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

შესაბამისად საბჭომ წარმოდგენილი სახით დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი

1. შპს - აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

4. სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
5. სსიპ-ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მან განაცხადა, რომ შპს - აითი აკადემია სტეპში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N34-N34ბ-სა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N44-ში. დაწესებულებას სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 240.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, აღნიშნა, რომ შპს აითი აკადემია სტეპი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ახლა ფუძნდებოდა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას არ ჰქონდა ზოგადი განათლების მიმართულებით დაგროვილი გამოცდილება და/ან საუკეთესო პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა არაფორმალური განათლების სფეროში. სწორედ ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, წარმოეჩინათ შპს აითი აკადემია სტეპის ძლიერი მხარე მის არსებულ საქმიანობასა და ადამიანურ რესურსზე დაფუძნებით.
შპს აითი აკადემია სტეპი 2016 წლიდან ახორციელებდა კომპიუტერული მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით არაფორმალური განათლების საქმიანობას. ორგანიზაცია წარმოადგენდა საერთაშორისო კომპანიის - IT Academy STEP პარტნიორს, რომლის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი იყვნენ 1500-ზე მეტ კომპანიაში, მათ შორის, ისეთ გიგანტურ კორპორაციებში, როგორებიცაა: Microsoft, Facebook, Ebay, DELL, Amazon და ა.შ.
დაწესებულებას ხელმძღვანელობდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში ბიზნესის მართვის,

ახალგაზრდების განათლებისა და ფინანსური დაგეგმვის მიმართულებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მმართველი საბჭოს წევრებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, მიიღო გადაწყვეტილება დაეფუძნებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მთავარი პრიორიტეტი იქნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაღრმავებული და ინტეგრირებული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სხვა დისციპლინასთან ერთად.
ქეთევან ბაცანკალაშვილის განცხადებით ავტორიზაციის ექსპერტთა გუნდი შეთანხმდა, რომ აღნიშნული მიდგომა საკამოდ ინოვაციური იყო დღევანდელ საგანმანათლებლო ბაზარზე, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც კარიერის გაგრძელება სურდათ STEM საგნების, კომპიუტერული მეცნიერებების, სამედიცინო სფეროს და ჯანდაცვის მიმართულებით.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც დაწესებულების მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა, კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე სტანდარტი როგორც „ნაწილობრივ“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს . მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 კი შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა მახათაძემ განაცხადა, რომ მათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინეს შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდა ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებული გარკვეული რეკომენდაციების ბათილად ცნობას. კერძოდ ვიდეო კამერების დამატებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გამოგზავნის შემდეგ წარმოდგენილი იყო დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა რიგი ხარვეზის გამოსწორებას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინათ ცენტრში.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, ასევე, დაინტერესდა რამდენად იყო დაწესებულების შენობა ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენობაში უკვე დამონტაჟებული იყო პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების სახელი არ შეესაბამებოდა სტანდარტს და არღვევდა 1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნას.
  დაწესებულების მმართველი საბჭოს წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის, გ-ქვეპუნქტის მიხედვით რეგისტრირებისას, სამეწარმეო რეესტრმა განმარტა, რომ სიტყვა „IT“-ის ქართული შესატყვისი იყო „აითი“ , შესაბამისად, მათ რეგისტრაცია გაიარეს ამ სახელწოდებით. საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ შეუსაბამობა ვლინდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის აღმნიშვნელ ტეემინთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს მოსწავლეთა გადაადგილების უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობები მდებარეობდა ერთ ეზოში და ერთმანეთისგან დაშორებული იყო მხოლოდ სამი მეტრით.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს შინაგანაწესში აღნიშნული აკრძალული ნივთების შესახებ, ის დაინტერესდა, რა ითვლებოდა ძვირადღირებულ ნივთებად.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების სტანდარტებიდან გამომდინარე, რომლებიც იცავდა მოსწავლეს ნებისმიერი სახის ზიანისგან, შპს აითი აკადემია სტეპისთვის აღნიშნული ჩანაწერი იყო დამზღვევი მექანიზმი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენდა დაწესებულების შიდა რეგულაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა შპს აითი აკადემია სტეპის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - აითი აკადემია სტეპს (ს/კ: 405150465) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი N 34 - N 34ბ; ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 44.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.4, 3,5 და 3.6 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. სსიპ- ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ლევან ღურწკაიამ. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 ივლისს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N60-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის

თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 1200-ით.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა და განაცხადა, რომ სკოლაში ყველა საფეხურისთვის დანერგილი იყო შეფასების ჰიბრიდული მოდელი, რომელიც გულისხმობდა საკლასო და საშინაო დავალებების მხოლოდ განმავითარებელი, კომპლექსური დავალების კი როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებით შეფასებას. ისინი ასევე აქტიურად იყენებდნენ ტექნოლოგიებს, როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ პროცესებში.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ჩატარდა ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. მესამე სტანდარტის კომპონენტები 3.1 და 3.4 კი შეფასდა როგორც „მეტწილად“ შესაბამისად.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა გარემონტდა პროექტ “მილენიუმის“ ფარგლებში, ჰქონდა დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, შიდა და გარე რეკრეაციული ზონები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, კეთილმოწყობილი სპორტული და სააქტო დარბაზი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა თუ არა სკოლის ექიმს საექიმო საქმიანობის განმახორციელებელი უფლების სახელმწიფო სერთიფიკატი.
ექსპერტმა, ნანა ღაჭავამ აღნიშნა, რომ სკოლის ექიმს ჰქონდა, როგორც განათლების დამადასტურებელი დიპლომი პედიატრიის მიმართულებით, ასევე სახელმწიფო სერთიფიკატი.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებს ჰქონდა თუ არა შეთანხმებული სკოლას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგემა შესაბამის სამსახურთან.
ექსპერტმა, ლევან ღურწკაიამ აღნიშნა, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლის მიერ 2024 წლის 20 აგვისტომდე უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2023 წლის 26 ივლისს დამტკიცებული სახანძრო სიგნალიზაციის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების საინჟინრო პროექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლას(ს/კ : 212708453) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N60
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N60
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N60

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის სექტემბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1 და 3.4 კომპონენტები.

3. სსიპ - აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. მან განაცხადა, რომ სსიპ- აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 8 და 9 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტობანიერში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 300-ით.

ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. აქვე, მან განმარტა, რომ პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ასევე შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა 3.4 და 3.5 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ორ სართულიანი, ჰქონდა შიდა და გარე რეკრეაციული ზონები, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, რომელიც საჭიროებდა რეაბილიტაციას და, ასევე, სკოლაში იყო ადაპტირებული სველი წერტილები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს სთხოვა აეხსნა, თუ როგორ ახერხებდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები შედეგების მიღწევას მაშინ, როდესაც სკოლას არ ჰქონდა ლაბორატორია.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას და ამასთან ერთად მარტივ და უსაფრთხო კვლევით სამუშაოებს ახორციელებდნენ საგაკვეთილო პროცესში. ექსპერტის განცხადებით ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვეოდა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში, გააზრებული ჰქონდათ გრძელვადიანი მიზნები, წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები და ის გამოცდილება, რაც გააჩნდათ სხვადასხვა სასწავლო პროექტებთან მიმართებით.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა კონკრეტულად რა აქტივობებს ახორციელებდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში, რაზეც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის განმავლობაში ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებს, როგორიც იყო პროექტი „ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგთან დაკავშირებით“, რომლის ფარგლებშიც მათ მოწვეული ჰყავდათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, შექმნეს ვიდეო რგოლები და დაამზადეს ბროშურები.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა მესამე სტანდარტით განსაზღვრული დოკუმენტაციებით, რაზეც სკოლის დირექტორმა, ია მეფარიშვილმა, განაცხადა, რომ ისინი აქტიურად მუშაობდნენ ყველა დოკუმენტაციაზე და წარადგენდნენ მათ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტ სოფელ ტობანიერის (ს/კ: 229728738) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტობანიერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტობანიერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტობანიერი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო, საშულაო)

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ცენტრში წარმოედგინა მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა კერძოდ, კურიკულუმები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას სწავლა-სწავლების და შეფასების საკითხებში.

4. **სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. მან განაცხადა, რომ სსიპ-ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ივლისს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელი შუაგორაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ვიზიტის განმავლობაში სკოლაში ირიცხებოდა 141 მოსწავლე.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი ვინაიდან კომპონენტები 3.1 3.4 და 3.5 შეფასდა მეტწილად შესაბამისად . რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, სამ სართულიანი, ჰქონდა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, გარე და შიდა სპორტული დარბაზი და ადაპტირებული სველი წერტილები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საბჭოს წევრების წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სსიპ-ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას ოთხივე სტანდარტით, ორწლიანი ვადის შემდეგ დანიშვნოდა მონიტორინგი, ვინაიდან სკოლა საჭიროებდა სტანდარტით მოთხოვნილი ინდიკატორების გაუმჯობესებას და განვითარებას.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

სსიპ-ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორის საჯარო სკოლის წარმომადგენლმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ ცენტრში წარმოდგენილი

შუამდგომლობს საფუძველზე მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 141-ის ნაცვლად 180-ით.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ალექსანდრე ლილუაშვილის სახელობის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგორას საჯარო სკოლას (ს/კ: 229728658) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუაგორა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

- მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განმარტა, რომ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ დაფიქსირებული მისი ხმა განპირობებული იყო სკოლის მიერ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ბუნდოვანებითა და შეუსაბამობით სტანდარტის მოთხოვნებთან.

5. სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ მიდელაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 13 და 14 ივნისს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ რუსთავში, მე-19 მიკრო რაიონში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 900.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასდა მეტწილად შესაბამისად . რაც შეეხება მეოთხე და მეორე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, ასევე, წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახლად რეაბილიტირებული, შენობის პირველი სართული ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში ხორციელდებოდა შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო კონტროლი. ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის სკოლაში შექმნილი იყო ყველა პირობა როგორც ტიპური განვითარების, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას

შექმნილი ჰქონდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის კლუბები. კერძოდ, სამოქალაქო კლუბი, ეკო კლუბი, ლიტერატურული კლუბი, პატარა პროგრამისტები და თანამშრომლობდნენ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა თუ რა ეტაპზე იყო სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. სკოლის დირექტორმა ნათია მაზანიშვილმა განმარტა, რომ მათ ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდათ აღნიშნული გეგმები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (21.09.2023) დაწესებულებამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა ვებ-გვერდზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ქალაქ რუსთავის N28 საჯარო სკოლისავტორიზაციის საკითხისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ რუსთავის N28 საჯაროს სკოლას(ს/კ: 216295453) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი N42
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი N42
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. რუსთავი, მე-19 მიკრო რაიონი N42

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის 01 იანვრამდე;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
- მონიტორინგის ფარგლები: 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტის 3.4 კომპონენტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა